„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლიდო ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * სექტემბერი. 2023 * (7)90

„ცოცხლობს“ ყოველთვის

ასპინძის მუნიციპალიტეტი თავისი ისტორიული წარსულით ცნობილია არა მარტო ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ასპინძის ომის ისტორია თითოეულ ქართველში სიამაყის გრძნობას ბადებს იმისათვის, რომ სნორედ აქ დიდმა ქართველმა მხედართმთავარმა ერეკლე მეორემ მცირე დანაკარგით დიდ გამარჯვებას მიაღწია თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.1625 წელს სოფელ ხერთვისთან ასევე დიდი ბრძოლა გადაიხადა გიორგი სააკაძემ, ამავე ტერიტორიაზე ალექსანდრე მაკედონელის ჯარის ნაწილებს ჩვენმა წინაპრებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და უკუაგდეს მომხვდურნი, მაგრამ, ქართველთათვის გმირობის, ერთგულების, მამაცობის სიმბოლოს მაინც კოხტასთავის შეთქმულება წარმოადგენს, რომელთანაც დაკავშირებულია ცოტნე დადიანის გმირობის ისტორია. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ამ რამდენიმე წლის წინ

გადაწყდა, – ყოველწლიურად საზეიმოდ აღინიშნოს შეთქმულების ადგილზე „ცოტნეობის სახალხო დღესასწაული“. წელსაც, მიუხედავად შოვის ტრაგედიისა, რის გამოც საქართველოში პომპეზურად არცერთი სახალხო დღესასწაული არ ჩატარებულა, ადგილობრივმა თვითმმართველობამ მაინც მიაგო ღირსეული პატივი ჩვენს გმირ წინაპრებს და ჩვეული გულისხმიერებით, მცირე მასშტაბით, მაინც აღნიშნა „ცოტნეობის“ დღესასწაული.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ დამსწრე საზოგადოებას მიულოცა „ცოტნეობა", ხოლო სოფელ რუსთავის წმინდა ანდრია პირველწოდებული მოციქულის ტაძრის მღვდელმსახურმა მამა ანდრიამ პარაკლისი აღავლინა. „ცოტნეობას“ მოსახლეობასთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ა(ა)იპ-ების თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ცოტნე დადიანი

ნახ. რობერტ ბერიძისა

შოთა ნიშნიანიძე

მეგრულ სიმღერებიდან თუ მეგრულ
მოთქმიდან
ისმის ცხენის ჩქარუნი და ჭიხვინიც
მოდიდდა.

იქნებ ელვა ავარდა ძველლაზური
აფრიდან
ანდა წმინდა გიორგი მარტვილიდან
აფრინდა?

მთავრის ყაბალახიანი,
ღამის ნაბდიანი
მიდის, მიიჩქარის ცოტნე დადიანი.

რახანია ეკლესიებს შესევია ჭილყვავი,
და ციხეებს აზიური სიმღერები
ჭირხლავენ,
ცას უყეფენ კოცონები და კარვები
მონგოლთა...
ვერ იქნება კოხტა გორა საქართველოს
გოლგოთა!...
–მაშ გაფრინდი, ბედაურო,
გრძელფაფარა, კანჭწვრილო,
ოჩოკოჩის გახედნილო და ჭინკების
გაწვრთნილო,
არც ქერი გაქვს, არც არაყი,
არც მოთმენა, არც ძილი, –
ახრამუნე ჰორიზონტი... გადახუნე
მანძილი...
ჩქარობს,
ჩქარობს,
ჩქარობს
ავსებული ურვით,
ცოტნე დადიანი რაინდული გულით...

***

ისევ ისმის თქარუნი
და ჭიხვინი რაშის,
ვხედავ სამეგრელოდან ამხედრებულ
აჩრდილს.

მოჭენაობს,
მოგელავს
თოხარიკით...
ჩორთით...
ფაფარივით აწეწილა საუკუნის
შფოთი...
ამ ყიჟინით, ამ სულით, ამ მარადი
ლტოლვით
ისევ ფხიზლობს უძველესი მეომარი
ტომი.
ისევ ფეთქავს, ისევა სცემს,
ლეგენდებად თქმული
პატარა საქართველოს
რაინდული გული...

დიდსეული პატივი მიაგეს

8 აგვისტო თითოეული ჭეშმარიტი ქართველისათვის მეტად მძიმედ მოსაგონარი დღეა. ალბათ გაივლის ასეული წლები და საქართველოს ისტორიაში ეს დღე ჩაიწერება როგორც მეზობელი აგრესორი ქვეყნის თავდასხმა მშვიდობიან ქართულ სოფლებსა და ქალაქებზე, რომელსაც მსოფლიოში დიდი რეზონანსი მოყვა. ამ აგრესიის შედეგად საქართველომ კიდევ ერთხელ დაკარგა ტერიტორიის 20 პროცენტზე მეტი და, რაც მთავარია, ათასობით ქართველი დევნილად აქცია საკუთარ სამშობლოში. ყველაზე მთავარი კი მაინც ისაა, რომ ამ აგრესიას აუნაზღაურებელი მსხვერპლი მოყვა და 15 წლის შემდეგაც ეს ტკივილი კიდევ უფრო მძაფრდება, რამეთუ რუსი აგრესორების მხრიდან კვლავ ისმის უტიფარი განცხადებები იმის თაობაზე, თითქოს ომი ქართველთა მხარემ დაიწყო. ეს კი

იმას ჰგავს, დიდი აკაკი რომ ბრძანებს: „თქვენ ზევითა ხართ - მე ქვევით, როგორ აგიმღვრევ წყალსაო“. განა მართლა ძალუძს – სამ მილიონიან ქვეყანას ომის გაჩაღება? მაგრამ შეასმენ კი მათ ამ შეგონებას?

ქართველ ერს კი, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, მუდამ ემახსოვრება იმ დიდებულ მამულიშვილთა თავდადება საკუთარი ერის წინაშე, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში უყოყმანოდ მიიტანეს სამსხვერპლოზე ყველაზე ძვირფასი – საკუთარი სიცოცხლე.

2008 წლის ომმა 400-ზე მეტი სამოქალაქო და სამხედრო პირის სიცოცხლე შეიწირა, – საქართველოში რუსული ინტერვენციის შედეგად დაიღუპა 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 14 პოლიციელი, 1 747 მოქალაქე კი მძიმედ დაიჭრა. თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, სულ დაღუპულად 170 სამხედრო მიიჩნევა, აქედან ხუთი უგზო-უკვლოდ დაკარგულად.

მიმდინარე წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა საფლავებთან კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ როგორც რესპუბლიკის სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენლები, ასევე მუნიციპალური სამსახურების ხელმძღვანელი მუშაკები, მოსახლეობის დიდი ნაწილი.

დიდი პატივი მიაგეს 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას ასპინძაშიც. კერძოდ, მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ, საკრებულოს თავჯდომარის მოადგილემ მერაბ ზურაბაშვილმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ მირაშხანში, 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპული გმირი, ტარიელ ქამაშიძე გაიხსენეს და მისი სახელობის მემორიალი ყვავილებით შეამკეს. მემორიალთან სოფლის მოსახლეობასთან ერთად მისი ოჯახის წევრებიც იმყოფებოდნენ.

ომში დაღუპულებს მიეძღვნა

დაბა ასპინძის გაოთოიისა და დასვენების სამკუთხა პარკში ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მოსახლეობასთან ერთად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და მათ ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

გარდაცვლილთა სულის მოსახსენიებლად პანაშვიდი ასპინძის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელმსახურმა მამა დავითმა გადაიხადა.

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2023 ილის დამტკიცებული ბიუჯეტის ძიზნობრივი ხარჯვის – ,,მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის“ – ფარგლებში, ერთჯერადი ფულადი დახმარება გადაეცათ საქართველოს მთლიანობისათვის და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ომში დაღუპულთა რვა ოჯახს – თითოეულს 1000-1000 ლარის ოდენობით და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის და სხვა ქვეყნის ტერიტრიაზე მებრძოლი ომისა და სამხედრო ძალების, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ცხრა ვეტერანს, თითოეულს ასევე 1000 - 1000 ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის საჯიებულოში

მიმდინარე წლის 15 აგვისტოს გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ნარჩენების მართვის კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითრისა და აღრიცხვა-ანგარიშგების, ჯარიმის გადახდის, გასაჩივრებისა და სააღსრულებო ფურცლის გამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 ივლისის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. 2023 წელს ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე;

სხდომას თავმჯდომარეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ბერიძე.

დეპუტატებმა საკითხები ერთხმად დაამტკიცეს.

მაკა ბერიძე

მუსიკალური საღამო ასპინძაში

საქართველოს პრემიერ - მინისტრის ინიციატივით მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა მუსიკალური საღამოები, მათ შორის ასპინძაში,

ღონისძიება კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდა.

მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, თემატური ფოტოზონა, შემეცნებითი სტენდები და მოსასვენებელი სივრცეები, საპნის ბუშტების ინტერაქციული სანახაობა, კერამიკის ვორქშოპი. მაყურებლის წინაშე ორი სპექტაკლით წარსდგა თითების თეატრი. ბავშვების განწყობაზე ანიმატორები და ზღაპრის გმირები ზრუნავდნენ.

საღამო გალაკონცერტით დასრულდა და მაყურებლის წინაშე დუეტი ლეონი და ჯგუფი რეზო და ბავშვები წარდგნენ.

საღამოს დაესწრო როგორც დაბის, ასევე სოფლის მოსახლეობის სოლიდური წარმომადგენლობა.

ხერთვისს ახალი ეიფეხი მიეცა

რაც უფრო დიდი დრო გადის, თვალში საცემი ხდება დაბასა თუ სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურა, რაც ხელს უწყობს რეგიონში ტურიზმის განვითარებას და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. განსაკუთრებით ეს იგრძნობა ისტორიული ძეგლების მიმდებარე სოფლებსა თუ დასახლებულ პუნქტებში, კერძოდ, ასპინძაში, ხერთვისში. თმოგვში, ვარძიაზე რომ არაფერი ვთქვათ და, იმედს ვიტოვებთ, რომ უახლოეს მომავალში მათ რიგებს მიემატება ის ძირძველი ისტორიული სოფლებიც, რომლებიც სიძველეთა სიმრავლით დიდი ინტერესის არეალში არიამ მოქცეულები.

ამ მიზნით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხერთვისში დასრულდა სკვერის რეაბილიტაცია.

პროექტის ფარგლებში მოეწყო დეკორატიული ღობე, საჩრდილობელი, წყარო, საფეხმავლო ბილიკები, გარეგანათება, გამწვანება, დაიდგა სკამები.

აღნიშნულ სამშენებლო სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 53 533 ლარს.

სამუაშაოები აქტიურად მიმდინარეობდა და განსაზღვრულ პერიოდში დასრულდა.

მინი-სტადიონი თმოგვში



სოფელი თმოგვი, იყო დრო, რაიონის მასშტაბით, ერთ-ერთ უყურადღებოდ მიტოვებულ სოფლად რომ მიიჩნეოდა, მიუხედავად იმისა, რომ ტურისტული ტრასა ამ სოფელზე გადიოდა. თმოგვი უძველეს სოფლად ითვლება ასპინძის მუნიციპალიტეტში და უდიდესი ისტორიის მატარებელია. მესხეთის უძველეს სამ ანტიკურ ქალაქთა შორის, იგი (წუნდა) ერთ დროს, თავისი კლიმატური პირობებისა თუ გეოგრაფიული მდებარეობის გამო, წარმოადგენდა უფლისწულთა საზაფხულო რეზიდენციას, იგი მდიდარია სანახაობრივი თვალსაზრისითაც.

ნიშანდობლივია, რომ სოფელში უკანასკნელ ხანს გაფართოვდა საოჯახო სასტუმროები, შესაბამისად გაიზარდა მარკეტების ქსელიც, რაც აუცილებელი პირობაა ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით. თავის მხრივ სოფელს არ აკლია ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღებაც. მათი უშუალო ინიციატივით და აქტიური ჩართულობით მოიძებნა სხვადასხვა დაფინასების წყარო სოფლის ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო განვითარების მიზნით.

ახლახან ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ, მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და სოფლის მოსახლეობასთან ერთად სოფელ თმოგვში მინი-სტადიონი გახსნეს. აღნიშნული პროექტი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა, მოეწყო ღია, თანამედროვე სპორტული მოედანი, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას. პროექტი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სოფლის კრებაზე ადგილობრივების მიერ შეირჩა.

კეთილმოეწყო შიდა სასოფლო გზა



ვინც კი ამ ათიოდე წლის წინ ერთხელ მაინც ყოფილა სოფელ ხიზაბავრაში, აუცილებლად ემახსოვრება ჯერ ნიაღვრებისაგან დაზიანებული გზები, სადაც მაღალი გამავლობის ავტომანქანებსაც კი უჭირდა მისვლა, რის გამოც, ავტომანქანებით უსაფრთხო მოძრაობა შეუძლებელი იყო. ოციანი წლების ბოლოს კი არაერთი სასიკეთო საქმე გაკეთდა ამ სოფლის საკეთილდღეოდ. მუნიციპალიტეტში პირველად ეს სოფელი იქნა გაზიფიცირებული, პირველად ამ სოფელში გაიყვანეს საავტომობილო მოასფალტებული გზა, და, რა თქმა უნდა, მის გარდა ბევრი მუნიციპალური პროექტიც განხორციელდა აქ. ახლახანს კი დასრულდა შიდა გზის რეაბილიტაცია.

პროექტის ფარგლებში მოეწყო ასფალტბეტონის საფარი და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურა, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებამ 440 416 ლარი შეადგინა.

მიმდინარე სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,საგზაო სამშენებლო სამმართველო N2” აწარმოებდა.

ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 2022-2023 სასწავლო წლის კურსდამთავრებული მედალოსნები

ალექსანდრე დიაკონიძე
ოქროსმედალოსანი, ასპინძა

ანა კოსტანიანი
ოქროსმედალოსანი, ასპინძა

მარიამ ივანიძე-
ოქროსმედალოსანი, ასპინძა

ვართუი სააკიან
ოქროსმედალოსანი, დამალა

აიკ მაკარიან
ოქროსმედალოსანი, დამალა



ლუკა შავაძე.
ოქროსმედალოსანი, ოშორა

რუსუდან ოთანაძე
ოქროსმედალოსანი, ნაქალაქევი

ანი მაისურაძე
ოქროსმედალოსანი, ნაქალაქევი

მარი თედორაძე
ოქროსმედალოსანი, ნაქალაქევი

მარიამ მაისურაძე.
ოქროსმედალოსანი, ნაქალაქევი

მარიამ გოგოლაძე.
ოქროსმედალოსანი, ხიზაბავრა



მარიამ მურადაშვილი
ოქროსმედალოსანი, ხიზაბავრა

ლელა ქამაშიძე
ოქროსმედალოსანი, მირაშხანი

ანა ლონდარიძე
ვერცხლისმედალოსანი, ასპინძა



სალომე ნემსაძე
ვერცხლისმედალოსანი, ასპინძა

სანდრო ველიჯანაშვილი
ვერცხლისმედალოსანი, ასპინძა

მირანდა მექოშვილი
ვერცხლისმედალოსანი, ხიზაბავრა

გიორგი ქუქჩიშვილი.
ვერცხლისმედალოსანი, ხიზაბავრა



ზურაბ ქამაშიძე
ვერცხლისმედალოსანი, მირაშხანი



რამაზ ქამაშიძე
ვერცხლისმედალოსანი, მირაშხანი

რედაქციისაგან:

გაზეთ „ასპინძის სიახლენის“ რედკოლეგია ულოცავს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის ოქროსა და ვერცხლის ყველა მედალოსანს მიღწეულ წარმატებას. იმედს გამოვთქვამთ, რომ თითოეული მათგანი ასევე წარმატებით გააგრძელებს სწავლას მათ მიერვე არჩეულ უმაღლეს სასწავლებლებში და დაეუფლებიან ისეთ პროფესიებს, რომლებიც მათ ცხოვრების მიზნად დაისახეს.

აქვე გულითა და სულით ვულოცავთ დამალის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულს, ოქროს მედლის მფლობელს აიკ მაკარიანს, რომელმაც ახლახან მონაწილეობა მიიღო კითხვის კონკურსში, რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოში ავსტრიის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის ბატონ თომას მიულმანის მიერ ქალაქ ქუთაისში და მის მიერ გერმანულ ენაზე წარდგენილმა წიგნმა დაიმსახურა როგორც პირადად ბატონ თომას მიულმანის, ასევე დამსწრე საზოგადოების დიდი მოწონება.

დამალის სკოლა საელჩოს ყურადღების ქვეშ მოექცა

ახლახან სოფელ დამალის საჯარო სკოლის გერმანული ენის მასწავლებლის ნელი დუდუქჩიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ამავე საჯარო სკოლის საატო დარბაზში გრანდიოზული ღონისძიება ჩატარდა, რომლის მსგავსი ამ სკოლას არ ახსოვს, რაც ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ იმ დღეს სკოლის საპატიო სტუმრები იყვნენ ავსტრიის ელჩი საქართველოში თომას მიულმანი, ავსტრიული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი მზია გალდავაძე, ასევე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი მაკა ბერიძე, ამავე უნივერსიტეტის პრორექტორი მერაბი ბერიძე, გერმანული ენის ლექტორი ლალი ბერიძე, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ტრისტან მურადაშვილი, რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი მანუჩარ ველიჯანაშვილი, სოფლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ემინ ბალოიანი, მარტინ კერექციანი, გურგენ თუმასიანი. ღონისძიება გაგრძელება იყო იმ კონკურსის ფინალური ნაწილისა, სახელწოდებით – „ავსტრიული ლიტერატურის კვირეული“, რომელიც გაიმართა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებას მულტიკულტურული დატვირთვა ჰქონდა, რომელიც სამ ენაზე – სომხურად, ქართულად და გერმანულად მიმდინარეობდა. აღნიშნულ ღონისძებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები ამავე სკოლის კურსდამთავრებული ოქროს მედალოსანი ორივე მოსწავლე – ჰაიკ მაკარიანი და ვართუი სააკიანი.

ეს დღე დაუვიწყარია როგორც ამავე სკოლის თითოეული მოსწავლის, ასევე მოწვეული სტუმრებისთვის. ამასთან უნდა ითქვას, რომ ღონისძიებამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია სკოლის მოსწავლეებში და სტიმული მისცა ბეჯითი სწავლისათვის.

საკ. ინფორმაცია

მარცვლეულის მოსავლის აღება ასპინძაში

ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მარცვლეულის აღება მალე დასრულდება. ტრადიციულად ალოობა სოფ. რუსთავიდან 15 ივლისს დაიწყო. დღეისათვის (29.08.2023) აღებულია 342 ჰექტარი – (983,7 ტ.) ხორბლის და 354 ჰექტარი (680,0 ტ.) ქერი ნათესები. ხორბლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ შეადგინა - 2,9 ტ., ხოლო ქერისამ – 1,9 ტონა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ დათესილ იყო – 444 ჰექტარზე ხორბალი, 406 ჰექტარზე ქერის კულტურები, 120 ჰექტარზე შვრია, 30 ჰექტარზე ჭვავი. რომლის აღება-დაბინავებაზე მუშაობდა 9 ერთეული ტექნიკა (კომბაინი), რომლებიც კერძო მფლობელობაშია. მოსავლის აღება ხდება დროულად და ეტაპობრივად ზონების მიხედვით. ამჟამად მოსავლის აღება მიმდინარეობს ნიალის ზონის ნათეს ფართობებზე, სადაც 102 ჰექტარზე დაღესილია ხორბლის, 52 ჰექტარზე – ქერის და 30 ჰექტარზე ჭვავის კულტურები მოსავლის აღება აქაც ნავარაუდევია უახლოეს პერიოდში.

ასპინძის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ სოფელში, სადაც კულტურების სავეგეტაციო პერიოდში დაფიქსირდა სეტყვა, შესაბამისად მკვეთრად დაბალი მოსავალი იქნა აღებული. ასევე მოსავლის ნაწილი დაზიანა მინდვრად უწვეულოდ მომრავლებულმა მღრნელებმა.

ოლღა ბერიძე ველიჯანაშვილი,
ასპინძის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი

მატიანე

ასპინძა. რესპუბლიკის ხელმძღვანელები შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის გახსნაზე. 1987 წელი

საინტერესოა ვიცოდეთ

დავით აღმაშენებლის კაბინეტი

პირველი პირი იყო – საქართველოს მეფე.

მეორე პირი – მეფის შემდეგ იყო მწიგნობართუხუცესი – ჭყონდიდელი (ჭყონდიდის, მარტვილის ეპისკოპოსი). იგი სათავეში ედგა აღმასრულებელ ხელისუფლებას. როგორც დღევანდელი პრემიერ-მინისტრი.

სახელმწიფოს მთავრობა *(საგეზირო)* – მთლიანად ემორჩილებოდა მეფეს.

მთავრობა შედგებოდა შვიდი ვეზირისაგან:

პირველი ვეზირი – *მანდატურთუხუცესი* – უმაღლესი მოსამართლე, მსაჯული, ორშაბათობით იღებდა მომჩივანთ და სამართალს გააჩენდა. იგი განაგებდა რელიგიის საქმესაც.

მეორე ვეზირი ყო – *მანდატურთუხუცესი* – შინაგან საქმეთა ვეზირი. მას ემორჩილებოდა დღევანდელი მნიშვნელობით საპოლიციო სამსახური და მსტოვართა (მზვერავთა) გაერთიანება.

მესამე ვეზირი – *ამირსპასალარი* – სამხედრო საქმრთა ვეზირი და სარდალი, – სპასალართუხუცესი.

მეროთხე ვეზირი – *მეჭურჭლეთუხუცესი* – ფინასთა გამგე.

მეხუთე ვეზირი – *მსახურთუხუცესი* – სამეფო სასახლის კარის სამსახურის და განწესრიგებათა უფროსი.

მეექვსე ვეზირი – *ამირახორი* – მეჯინიბეთუხუცესი, ამირსპასალარის პირველი თანაშემწე, უმცროსი ვეზირი სათათბირო ხმით.

მეშვიდე ვეზირი – *ჩუხჩარხი* – მეფის პირადი სპასალარი და მეაბჯრეთუხუცესი, მეფის გვარდიის უფროსი, უმცროსი ვეზირი სათათბირო ხმით.

ახალი წიგნები

ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილება შეივსო შემდეგი დასახელების ახალი გამოცემებით:

დეივ პილკი - დოგმენი 2.
დეივ პილკი - ახალი გმირობები.
ზურაბ კიკნაძე, აკა მორჩილაძე - ვეფხისტყაოსანზე.
ნანი მანველიშვილი - არ დამივიწყო.
ნანი მანველიშვილი - ოდისევსის სინდრომი.
ჰარუკი მურაკამი - ნორვეგიული ტყე.
ლუის სეკერი - მწვანე ტბის ბანაკი.
ირმა მალაციძე - დაუპატიჟებელი სტუმრები სატკბილეთში.
ირმა მალაციძე - სატკბილეთის ქვეყანა..
მაგდანას ლურჯა და სხვა მოთხრობები.
ჯეფ კინი - წრიპა ბიჭის დღიური. მოგზაურთა ედემი.
თამარ ფხაკაძე - ბალიშა - ანბანთქება და ლექსები.
იაკობ გოგებაშვილი - მოთხრობები ცინცაძის ილუსტრაციებით.
ემა ჯეინ ოსტინი.
დაწერე და წაშალე - შეკრება და გამოკლება.
დაწერე და წაშალე - გამრავლების ტაბულა.
დაწერე და წაშალე - ინგლისური ანბანი.
დაწერე და წაშალე - ქართული ანბანი.
დაწერე და წაშალე - რიცხვები.
დაწერე და წაშალე - მათემატიკა. თავსატეხები.
ჯინ უებსტერი - გრძელფეხება მამილო.
აგატა კრისტი - ჰელოუნის სადღესასწაულო წვეულება.
აგატა კრისტი - ხუთი გოჭი.
აგატა კრისტი - უდანაშაულობის გამოცდა.
ცხოველთა ატლასი (ზებრა).
ყურბან საიდი - ალი და ნინო.
შექსპირი - რომეო და ჯულიეტა.
მაინ რიდი -უთავო მხედარი - საკოლექციო.
მაინ რიდი - ოცეოლა, სემინოლების ბელადი.
ნათია ჯაგოდნიშვილი - გადამწვარი ხიდები.
ირაკლი არიშვილი - დასაწყისის დასასრული.
შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი.
სუადი - ცოცხლად დამწვარი.
ლია შალვაშვილი - შემეცნებითი ზღაპრები.
ოლკოტი - პატარა ქალები
ელიფ შაფაქი - გამქრალი ხეების კუნძული.
ბედუინი - ნეფერტარი.
ლიბერთინსი - ორი ნაბიჯი შენამდე.
ანტუან სენტ ეგზიუპერი - პატარა პრინცი.
ელისო ჩუბინიშვილი - ვარსკვლავების მდინარე.
ასტრიდ ლინდგრენი - ყაჩაღის ასული რონია.
დევიდ უილიამსი - ბანდიტი ბებია.
ჯორდან პეტერსინი - ცხოვრების 12 წესი.
ფრედერიკ ბეგბედერი - უნა & სელენჯერი.
სტივენ კინგი ტ. 9 - ქრისტინი
ადამ სილვერა - ლიბერთინს - ბოლოს ორივე კვდება.
რჩეული საბავშვო მოთხრობები - ორტომეული.
ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი.
ჯეიმს დაშნერი - ლაბირინთში მორბენალი.
დანიელ პენაკი - სკოლის სევდა.
ჭაბუა ამირეჯიბი - გორა მბორგალი.

ა(ა)იპ ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული განყოფილება

ხალხური წამლების რეცეპტი

სახსრების ანთება

ანწლის ყვავილი, ჭინჭრის ფოთოლი, ოხრახუშის ძირები თანაბარი რაოდენობით დააქუცმაცეთ 1 ს/კ ნარევი მოხარშეთ 1 ჭიქა წყალში. ვადუღოთ 5 წუთს ნელ ცეცხლზე. გავაციოთ და გავწუროთ.

მივიღოთ 2 კოვზი ნახარში დღეში სამჯერ.

ასევე სახსრების ანთებისთვის კარგია ალუბალი.

რევმატიზმის და რადიკულიტის დროს

მათ სამკურნალოდ გამოიყენევა ბოლოკის წვენი ან მისგან დამზადებული ფაფა, რითაც ხდება სახსრების შეზელვა. ავიღოთ ბოლოკის წვენი 1,5 ჭიქა, თაფლი 1 ჭიქა, არაყი 1/5 ჭიქა, სუფრის მარილი 1 ს/კოვზი. გადაურიოთ ერთმანეთში და წაისვით მტკივნეულ ადგილზე.

მარილების დაგროვების დროს

ა).100 გრამი ნიორი, 4 ცალი ლიმონის ქერქი გავატაროთ ხორცის საკეპში, დავასხათ გადადუღებული წყალი, გავაჩეროთ 48 საათის თავდახურულ ემალის ჭურჭელში გრილ ადგილზე. შემდეგ გადავწუროთ და დავლიოთ 50 გრამი ყოველ დილით უზმოზე.

ბ). ერთ ცალ უმ კვერცხს დავასხათ 100 გრამი ძმარი. გავაჩეროთ 5 დღე. შემდეგ კვერცხი ამოვიღოთ . მოვაშოროთ ნაჭუჭი. ნაჭუჭს, კვერცხის გულს და ძმარს დავასხათ 100 გრამი სუფთა სკიპიდარი. მიღებული მასა წავისვათ მტკივნეულ ადგილზე.

ანგინის მკურნალობა

ა). ერთი ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი ჩავასხათ ერთ ჭიქა წყალში. ყელში გამოვივლოთ საათში ერთხელ. ხსნარი რამდენიმე წუთი გავაჩეროთ პირის ღრუში და შემდეგ გადავყლაპოთ.

ბ). გავხეხოთ წითელი ჭარხალი, გამოვწუროთ 1 ჩ/კოვზი წვენი. დავასხათ 1 ს/კოვზი ძმარი, დავდგათ 2-3 საათი. ძმრიანი წვენი გავწუროთ, გამოვივლოთ ყელში, ამასთან დავლიოთ 1-2 ს/კოვზი.

გ). მოვხარშოთ 3 ჩ/კოვზი მშრალი დაქუცმაცებული ხახვის კანი, ერთ ჭიქა წყალში. დავდგათ 4 საათი. გავწუროთ და გამოვივლოთ ყელში.

ფილტვების დაავადების დროს

ა). თხის სისხლი თაფლით და წყლით შარბათად გავლესოთ და დავლიოთ.

ბ). ორი წილი თაფლი და ერთი წილი კარაქი აურიოთ ერთმანეთში და მივიღოთ ყოველ დილით უზმოზე ერთი ჩაის კოვზი.

გ).ყოველ დილით უზმოზე დავლიოთ ერთი ჭიქა თაფლიანი წყალი.

დ). წითელი ყურძნის ხმელი (ჩამიჩი) და სტაფილო მოვხარშოთ, გავწუროთ და მივიღოთ თბილ-თბილი წვენი მივიღოთ.

ე). აურიოთ ერთმანეთში ნიგოზი და ყურძნის ჩამიჩი და ისე მივიღოთ.

ვ). ყოველ დილით ერთმანეთში აურიოთ ბროწეულის, ვაშლის და კომშის წვენები და ისე მივიღოთ.

ზ) ხახვის წვენი და თაფლი აურიოთ ერთმანეთში და ისე მივიღოთ საათში ერთხელ თითო სუფრის კოვზი.

გულს დაავადების დროს

1), წელიწადში 4-ჯერ 4-4 დღის განმავლობაში მიიღეთ კუნელის ყვავილისაგან დამზადებული ნაყენი, არყის ჭიქით დღეში სამჯერ ჭამის წინ.

2.ათი დღის განმავლობაში (პერიოდულად) ყოველდღიურად მიიღეთ 100-100 გრამი ხაჭო.

3. გულის ინფარქტის გადატანის დროს მუდმივად სვით ყოველდღიურად ჭამის წინ 10-100 გრამი ახლადდაწურული სტაფილოს წვენი.

4. ორ ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ პიტნის ფოტლებს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი. მიიღეთ ყლუპებით დღის განმავლობაში.

მაღალი წნევის დროს

ა). ორი ჭიქა თბილი წყლის, 16 კბილი ნიორის, 2 ს/კოვზი თაფლის ნარევი მოხარშეთ ნელ ცეცხლზე ნახევარ საათის განმავლობაში. გავაციოთ და მივიღოთ დღეში სამჯერ 2-2 ს/კოვზი.

ბ).ერთ ჭიქა მაწონს დავამატოთ ერთი ჩ/კოვზი დარიჩინი. კარგად აურიოთ ერთმანეთში და დავლიოთ კვირაში ორჯერ.

გ). 15-20 გრამი გამომშრალი მწვანე ლობიოს დავაქუცმაცოთ, ვადუღოთ 3-4 საათის განმავლობაში ერთ ლიტრა წყალში. გავაციოთ. მივიღოთ ნახევარი ჭიქა 4-5-ჯერ დღეში.

დ).0,5ლიტრა მაწონში აურიოთ 1 ჩ/კოვზი კარტოფილის ფქვილი. მივიღოთ დღის განმავლობაში . შვისვენოთ 7 დღე. ჩავიტაროთ სამი კურსი.

ე). ავიღოთ შალის ან ბამბის ქსოვილი, დავასველოთ ვაშლის ძმრით ან ჩვეულებრივი 5-წლიანი ღვინის ძმრით. შემოვიხვიოთ ტერფებზე. გავიჩეროთ საფენები 5-10 წუთი. საფენები მოვიცილოთ მაშინ როცა უკეთესად ვიგრძნობთ თავს.

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია